USAID
ამერიკელი ხალხისგან

საქართველოს
ახალგაზრდა
იურისტთა
ასოციაცია

თავისუფალი,სამართლიანი და თანასწორი საარჩევნო-პოლიტიკური ციკლი 2019-2022 წლებში

საინფორმაციო ბიულეტენი №36
სექტემბერი, 2022

თბილისი, 2022

ხელმძღვანელი:

ნანუკა ყრუაშვილი

ავტორი:

ირაკლი ჯოჯუა

საინფორმაციო ბიულეტენის მომზადება შესაძლებელი გახდა ამერიკელი ხალხის გულუხვი დახმარების წყალობით, რომელიც აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) მეშვეობით იქნა გაწეული. ბიულეტენის შინაარსზე პასუხისმგებელია „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია“ (საია). ის შესაძლოა არ ასახავდეს USAID-ის ან აშშ-ის მთავრობის შეხედულებებს.

USAID
ამერიკელი ხალხისგან

შესავალი

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციამ (საია) 2019 წლის აგვისტოდან მთელი ქვეყნის მასშტაბით დაიწყო პროექტის - „თავისუფალი, სამართლიანი და თანასწორი საარჩევნო პოლიტიკური ციკლი 2019-2022 წლებში“ იმპლემენტაცია. პროექტის ერთ-ერთი მიზანია საარჩევნო გარემოს გაუმჯობესების ხელშეწყობა მონიტორინგისა და მტკიცებულებაზე დაფუძნებული ადვოკატირების გზით. ამის მისაღწევად ორგანიზაცია დააკვირდება მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებს და შეიმუშავებს რეკომენდაციებს, რომლებსაც გააცნობს საზოგადოებას და წარუდგენს გადაწყვეტილების მიმღებ პირებს. ამჟამად წარმოგიდგენთ №36 ბიულეტენს, სადაც აღწერილია სექტემბერში განვითარებული ის მოვლენები, რომლებმაც გავლენა მოახდინა პოლიტიკურ გარემოზე.

ევროკავშირის 12 რეკომენდაციის შესასრულებლად შექმნილი საპარლამენტო სამუშაო ჯგუფები

საპარლამენტო ოპოზიციის იმ ჯგუფმა, რომელიც ევროკავშირის რეკომენდაციებთან დაკავშირებით „ქართული ოცნების“ სამუშაო ჯგუფებში ჩართული არ არის, განაცხადა, რომ უკვე მზად ჰქონდათ ევროკავშირის რეკომენდაციებთან დაკავშირებული დამოუკიდებელი დოკუმენტი. მათი თქმით, ევროკომისიის 12 რეკომენდაციიდან თითქმის ყველა საკითხთან დაკავშირებით მომზადდა კანონპროექტი და პარლამენტს უახლოეს მომავალში წარედგინება.[1] ამასთანავე, ოპოზიციურმა ძალებმა დამატებით გააკრიტიკეს მმართველი პარტიის მუშაობა რეკომენდაციებთან მიმართებით. მათი განცხადებით, „ქართულმა ოცნებამ“ დეოლიგარქიზაციის, სასამართლო რეფორმისა და დეპოლარიზაციის პუნქტების შესრულების ისეთი გეგმა შეიმუშავა, რომელიც ევროკომისიის მოთხოვნებს არ პასუხობს.[2]

6 სექტემბერს, საქართველო-ევროკავშირის ასოცირების საბჭოს მე-7 სხდომის დასრულების შემდეგ, ევროკომისარ ოლივერ ვარჰეისთან და ევროკავშირის უმაღლეს წარმომადგენელთან, ჯოზეფ ბორელთან ერთად პრემიერმა ღარიბაშვილმა პრესკონფერენცია გამართა.[3] მისი თქმით, 12 პუნქტის შესასრულებლად ინკლუზიური პროცესი დაიწყო, თუმცა „გულისტკენით“ აღნიშნა, რომ ზოგიერთი პოლიტიკური პარტია ამ პროცესში არ მონაწილეობდა.[4] თავის მხრივ, ევროკომისარ ოლივერ ვარჰეის აზრით, ასოცირების ხელშეკრულების შესასრულებლად საჭირო იყო დრო და ყველა პარტიისა და სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობა.[5]

საპარლამენტო ოპოზიციის წარმომადგენლებმა უპასუხეს საქართველოს პრემიერ-მინისტრის ირაკლი ღარიბაშვილის მიერ ბრიუსელში გაკეთებულ განცხადებას. პარტია „სტრატეგია აღმაშენებლის” დეპუტატმა თეონა აქუბარდიამ ინკლუზიური პროცესის უზრუნველყოფაზე პასუხის-

[1] „ევროკომისიის 12 პუნქტზე სამსჯელოდ საპარლამენტო ოპოზიცია არასამთავრობოებს შეხვდა“, საინფორმაციო პორტალი „რადიო თავისუფლება“, 3 სექტემბერი 2022, ხელმისაწვდომია: https://www.radiotavisupleba.ge/a/32016944.html, განახლებულია: 12.10.22; „ოპოზიციის ნაწილი ევროკომისიის რეკომენდაციების შესასრულებლად პარლამენტს ინიციატივებით სექტემბერში მიმართავს“, საინფორმაციო პორტალი „რადიო თავისუფლება“, 5 სექტემბერი 2022, ხელმისაწვდომია: https://www.radiotavisupleba.ge/a/32018715.html, განახლებულია: 12.10.22.

[2] „ოპოზიცია ევროკომისიის რეკომენდაციებზე მმართველი პარტიის მუშაობას აკრიტიკებს“, საინფორმაციო პორტალი „Civil.ge”, 5 სექტემბერი 2022, ხელმისაწვდომია: https://civil.ge/ka/archives/507161, განახლებულია: 12.10.22.

[3] „საქართველო-ევროკავშირის ასოცირების საბჭოს მე-7 შეხვედრის შემდგომი ერთობლივი განცხადება“, საინფორმაციო პორტალი „Civil.ge”, 7 სექტემბერი 2022, ხელმისაწვდომია: https://civil.ge/ka/archives/507485, განახლებულია: 12.10.22.

[4] „საქართველო-ევროკავშირის ასოცირების საბჭოს მე-7 შეხვედრის შემდგომი ერთობლივი განცხადება“, საინფორმაციო პორტალი „Civil.ge”, 7 სექტემბერი 2022, ხელმისაწვდომია: https://civil.ge/ka/archives/507485, განახლებულია: 12.10.22.

[5] „ევროკომისარი ოლივერ ვარჰეი: „დააჩქარეთ რეფორმების განხორციელება”, საინფორმაციო პორტალი „Civil.ge”, 7 სექტემბერი 2022, ხელმისაწვდომია: https://civil.ge/ka/archives/507465, განახლებულია: 12.10.22.

მგებლობა ხელისუფლებას დააკისრა.[6] პარტია „ნაციონალური მოძრაობის“ ერთ-ერთმა ლიდერმა ხატია დეკანოიძემ განმარტა, რომ პოლარიზაცია ევროკავშირის მხარდამჭერ საქართველოს მოქალაქეებსა და ხელისუფლებას შორის არსებობდა.[7] მისივე განცხადებით, „ნებისმიერ შემთხვევაში“ ყველა რეფორმას დაუჭერდნენ მხარს, რომელიც 12 პუნქტის შესრულებას შეეხებოდა.[8] ოპოზიციონერმა დეპუტატმა თამარ კორძაიამ სამუშაო ჯგუფებში ჩაურთველობა იმით ახსნა, რომ ისინი ვერ ასრულებდნენ იმ ფუნქციას, რისთვისაც „ქართულმა ოცნებამ“ ეს ჯგუფები შექმნა.[9]

ევროკავშირის ახალმა ელჩმა საქართველოში პაველ ჰარჩინსკიმ სამუშაო ჯგუფებთან მიმართებით ისაუბრა ინკლუზიურობის საჭიროებასთან დაკავშირებით.[10] მისი აზრით, საჭირო იყო როგორც მმართველი პარტიის, ასევე ოპოზიციის ჩართულობა 12 პუნქტის შესასრულებლად.[11] ელჩმა, ერთი მხრივ, აღნიშნა, რომ ხელისუფლებამ პროცესი ინკლუზიურად უნდა წარმართოს, მეორე მხრივ კი, ოპოზიციის მხრიდან კონსტრუქციული მიდგომის აუცილებლობას გაუსვა ხაზი. „ოპოზიციამ უნდა იმუშაოს ხელისუფლებასთან ერთად, რათა უზრუნველყოს პროგრესის მიღწევა“ - განაცხადა ელჩმა.[12] ხაზი უნდა გაესვას იმასაც, რომ ევროკომისიის პრეზიდენტმა ურსულა ფონ დე ლაიენმა ევროპულ პარლამენტში თავის წლიურ მოხსენებაში საქართველო ევროკავშირის ოჯახის ნაწილად აღიარა.[13]

საქართველო-ევროკავშირის ურთიერთობები

ასოცირების საბჭოს რიგით მე-7 შეხვედრა

6 სექტემბერს ბრიუსელში საქართველო-ევროკავშირის ასოცირების საბჭოს რიგით მე-7 შეხვედრა გაიმართა, სადაც მხარეებმა განიხილეს ასოცირების საბჭოს 2021 წელს ჩატარებული ბოლო შეხვედრის შემდეგ მიღწეული პროგრესი.[14] ეს იყო პირველი შეხვედრა მას შემდეგ, რაც ევროკავშირმა საქართველოს ევროპული პერსპექტივა აღიარა.[15] ასოცირების საბჭოს სხდომას თავმჯდომარეობდა ჟოზეფ ბორელი, ევროკავშირის უმაღლესი წარმომადგენელი საგარეო საქმეთა და უსაფრთხოების პოლიტიკის საკითხებში, ხოლო საქართველოს დელეგაციას ხელმძღვანელობდა პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი.[16] შეხვედრას ასევე დაესწრო სამეზობლო პოლიტიკისა და გაფართოების საკითხებში ევროკომისარი ოლივერ ვარჰეი.[17] პრესკონფერენციაზე ჟოზეფ

---

[6] „ხელისუფლების პასუხისმგებლობაა ინკლუზიურობა” - რას პასუხობს ოპოზიცია ღარიბაშვილს სამუშაო ჯგუფებში ჩართვაზე” საინფორმაციო პორტალი „რადიო თავისუფლება“, 7 სექტემბერი 2022, ხელმისაწვდომია: https://www.radiotavisupleba.ge/a/32022434.html, განახლებულია: 12.10.22.

[7] იქვე.

[8] იქვე.

[9] იქვე.

[10] „ევროკავშირის ელჩი ევროკომისიის რეკომენდაციებზე, „დეოლიგარქიზაციასა“ და „მეორე ფრონტის“ გახსნაზე“, საინფორმაციო პორტალი „Civil.ge”, 20 სექტემბერი 2022, ხელმისაწვდომია: https://civil.ge/ka/archives/508621, განახლებულია: 12.10.22.

[11] იქვე.

[12] იქვე.

[13] „ურსულა ფონ დერ ლაიენი: ასოცირებული ტრიო, დასავლეთ ბალკანეთი ევროკავშირის ოჯახის ნაწილია“, საინფორმაციო პორტალი „Civil.ge”, 14 სექტემბერი 2022, ხელმისაწვდომია: https://civil.ge/ka/archives/508145, განახლებულია: 12.10.22; „2022 State of the Union Address by President von der Leyen“, ევროპის კომისიის ოფიციალური ვებგვერდი, 14 სექტემბერი 2022, ხელმისაწვდომია: https://ec.europa.eu, განახლებულია: 12.10.22.

[14] „ერთობლივი განცხადება პრესისთვის საქართველოსა და ევროკავშირს შორის გამართული ასოცირების საბჭოს მე-7 სხდომის შემდეგ“, ევროკავშირის წარმომადგენლობა საქართველოში - ოფიციალური ვებგვერდი, 7 სექტემბერი 2022, ხელმისაწვდომია: https://www.eeas.europa.eu, განახლებულია: 12.10.22.

[15] იქვე.

[16] „საქართველო-ევროკავშირის ასოცირების საბჭოს მე-7 შეხვედრის შემდგომი ერთობლივი განცხადება“, საინფორმაციო პორტალი „Civil.ge”, 9 სექტემბერი 2022, ხელმისაწვდომია: https://civil.ge/ka/archives/507485, განახლებულია: 12.10.22.

[17] იქვე.

ბორელმა ქართულ პოლიტიკურ პარტიებს გაერთიანებისკენ მოუწოდა.[18] მისი თქმით, მხოლოდ პოლიტიკურ პარტიებს შორის დიალოგისა და თანამშრომლობის გზით შეძლებს ქართველი ერი საკუთარი ევროპული ამბიციების რეალობად ქცევას.[19] პრემიერ-მინისტრმა, თავის მხრივ, იმედი გამოთქვა, რომ ვალდებულებების შესრულების შედეგად საქართველოს კანდიდატის სტატუსი მიენიჭებოდა.[20]

შეხვედრის შემდგომ გამოქვეყნდა ევროკავშირი-საქართველოს ასოცირების საბჭოს ერთობლივი განცხადება. ევროკავშირმა ხაზი გაუსვა, რომ საქართველოს ევროპული გზა დამსახურებაზე დაფუძნებული პროცესი იყო.[21] ერთობლივ ტექსტში წერია, რომ ევროკავშირი მიესალმა საქართველოს პარლამენტში დაწყებულ მუშაობას და მოუწოდა მმართველ პარტიას, სამოქალაქო საზოგადოებისა და საპარლამენტო ოპოზიციურ ჯგუფებთან ერთად ჩართულიყო ინკლუზიურ პროცესში.[22] გარდა იმისა, რომ მან პოზიტიურად შეაფასა საქართველოში გატარებული ზოგიერთი „რთული რეფორმა“ და კანონმდებლობის ევროკავშირის სტანდარტებთან დაახლოება,[23] „მნიშვნელოვანი შეშფოთება“ გამოხატა რამდენიმე საკვანძო მიმართულებით. კერძოდ, ევროკავშირმა საქართველოს მოუწოდა პოლარიზაციის შემცირების,[24] ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების პატივისცემის გაზრდის და[25] სამოქალაქო საზოგადოების პოლიტიკურ პროცესებში ჩართულობის უზრუნველყოფისკენ.[26]

22 სექტემბერს პარლამენტში დამატებით გაიმართა ევროკავშირი-საქართველოს საპარლამენტო ასოცირების კომიტეტის მე-11 სხდომა.[27] მასში საქართველოს პარლამენტისა და ევროპარლამენტის მუდმივმოქმედი დელეგაციები მონაწილეობდნენ.[28] სხდომაზე განხილვის მთავარი თემა საქართველოში დემოკრატიული რეფორმების კონსოლიდაცია და ფუნდამენტური თავისუფლებების დაცვა იყო.[29]

საქართველოს ევროკავშირთან თანამშრომლობის შეფასება

ევროკავშირმა გამოაქვეყნა 2014-2020 წლების განმავლობაში საქართველოსთან თანამშრომლობის ანგარიში, რომლის თანახმადაც, საანგარიშო პერიოდში საერთო ჯამში მან საქართველოს თითქმის ერთი მილიარდი ევროს ოდენობის დახმარება გაუწია.[30] შეფასება 2021 წლის მარტიდან

[18] „ჟოზეპ ბორელი: საქართველოს ევროპულ ამბიციებს თან პასუხისმგებლობებიც ახლავს“, საინფორმაციო პორტალი „რადიო თავისუფლება“, 6 სექტემბერი 2022, ხელმისაწვდომია: https://www.radiotavisupleba.ge/a/32021484.html, განახლებულია: 12.10.22.

[19] იქვე.

[20] „პრემიერი იმედს გამოთქვამს, რომ ვალდებულების შესრულების შედეგად, საქართველო კანდიდატის სტატუსს მიიღებს“, საინფორმაციო პორტალი „რადიო თავისუფლება“, 6 სექტემბერი 2022“, ხელმისაწვდომია: https://www.radiotavisupleba.ge/a/32021297.html, განახლებულია: 12.10.22.

[21] „რა წერია EU-საქართველოს ასოცირების საბჭოს ერთობლივ განცხადებაში“, საინფორმაციო პორტალი „რადიო თავისუფლება“, 7 სექტემბერი 2022, ხელმისაწვდომია: https://www.radiotavisupleba.ge/a/32022555.html, განახლებულია: 12.10.22.

[22] იქვე.

[23] იქვე.

[24] „ერთობლივი განცხადება პრესისთვის საქართველოსა და ევროკავშირს შორის გამართული ასოცირების საბჭოს მე-7 სხდომის შემდეგ“, ევროკავშირის წარმომადგენლობა საქართველოში - ოფიციალური ვებგვერდი, 7 სექტემბერი 2022, ხელმისაწვდომია: https://www.eeas.europa.eu/, განახლებულია: 12.10.22.

[25] იქვე.

[26] იქვე.

[27] „საქართველოს პარლამენტში საქართველო-ევროკავშირის საპარლამენტო ასოცირების კომიტეტის მეთერთმეტე სხდომა გაიმართა“, საქართველოს პარლამენტის ოფიციალური ვებგვერდი, 21 სექტემბერი 2022, ხელმისაწვდომია: https://parliament.ge/, განახლებულია: 12.10.22.

[28] იქვე.

[29] იქვე.

[30] “ევროკავშირი 2014-2020 წლებში საქართველოსთვის გაწეულ დახმარებას აფასებს ”, საინფორმაციო პორტალი „Civil.ge”, 20 სექტემბერი 2022, ხელმისაწვდომია: https://civil.ge/ka/archives/508562, განახლებულია: 12.10.22.

2022 წლის სექტემბრამდე პერიოდში სამეზობლო პოლიტიკისა და გაფართოებაზე მოლაპარაკებების საკითხებში ევროკომისიის გენერალური დირექტორატის მიერ ჩატარდა და ცხრა შეკითხვას ეფუძნებოდა.[31] შეფასების შედეგად შეგროვდა მონაცემები და მოხდა მათი ანალიზი, რაც მოიცავდა 2000-ზე მეტი დოკუმენტის განხილვას და ინტერვიუს 95 პირთან.[32]

ანგარიშის მიხედვით, გაუმჯობესდა სოფლის მეურნეობის, საჯარო მმართველობის სისტემის, მართლმსაჯულებისა და კანონის უზენაესობის, ეკონომიკური განვითარებისა და მობილობის სისტემის მდგომარეობა.[33] სასამართლო სისტემასთან დაკავშირებით დამატებით მითითებულია, რომ დამოუკიდებლობის ხარისხის ზრდის ტემპი მცირეა.[34]

პარტია „ერთიანმა ნაციონალურმა მოძრაობამ“ რიგგარეშე არჩევნები მოითხოვა

ოპოზიციური პარტია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ ლიდერმა, ნიკა მელიამ მორიგ ჯერზე მოითხოვა რიგგარეშე საპარლამენტო არჩევნების დანიშვნა.[35] მისი თქმით, ვადამდელი არჩევნები უნდა დანიშნულიყო ქვეყანაში შექმნილი უმძიმესი კრიზისის განსამუხტად, რაშიც 12-პუნქტიანი გეგმის შესრულებაზე ოპოზიციასა და მმართველ პარტიას შორის შეუთანხმებლობა იგულისხმა.[36] ნიკა მელიას განცხადებას პასუხი მოჰყვა მმართველი პარტიის რიგებიდან. თბილისის მერის, კახა კალაძის აზრით, ინიციატივა ვადამდელი არჩევნების ჩატარების შესახებ „აბსურდია“ და შემდეგი არჩევნები 2024 წელს გაიმართება.[37] მან ასევე განაცხადა, რომ პოლიტიკური დაძაბულობა ქვეყანაში არ არის და კრიზისი მხოლოდ ოპოზიციას, კონკრეტულად, „ნაციონალურ მოძრაობას“ აქვს.[38]

საკანონმდებლო ცვლილებები

გენერალური პროკურორის არჩევის წესი

პარტია „ქართულმა ოცნებამ“ გენერალური პროკურორის არჩევის ახალი წესი წარმოადგინა, რომლის მიხედვით, „მომდევნო ორი მოწვევის პარლამენტი გენერალურ პროკურორს აირჩევს სამი მეხუთედის უმრავლესობით, 6 წლის ვადით, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ კანდიდატი ხმათა სამ მეხუთედს ვერ მიიღებს, გენერალური პროკურორი აირჩევა ხმათა უმრავლესობით, მაგრამ ერთი წლის ვადით“.[39] საინტერესოა, რომ თავად კანონპროექტის წარმდგენი პარტიის თავმჯდომარე ირაკლი კობახიძე ცვლილებებს არაკონსტიტუციურად მიიჩნევს, თუმცა, გამონაკლისის სახით, „ქართული ოცნება“ მას მხარს მაინც დაუჭერს ევროკავშირის 12-პუნქტიანი გეგმის ფარგლებში.[40] დაგეგმილი

---

[31] იქვე.
[32] იქვე.
[33] „საქართველოს ევროკავშირთან თანამშრომლობის შეფასება 2014-2020“, ევროკავშირის წარმომადგენლობა საქართველოში - ოფიციალური ვებგვერდი, 19 სექტემბერი, ხელმისაწვდომია: https://www.eeas.europa.eu/, განახლებულია: 12.10.22.
[34] იქვე.
[35] „საქართველო-ევროკავშირის საპარლამენტო ასოცირების კომიტეტის სხდომა“, საინფორმაციო პორტალი „პირველი არხი“ - ოფიციალური “Youtube” არხი, 21 სექტემბერი 2022, ხელმისაწვდომია: https://www.youtube.com/watch?v=0fhfSdyngQc, განახლებულია: 12.10.22.
[36] „მელია: “საქართველოში უნდა დაინიშნოს ვადამდელი არჩევნები”,” საინფორმაციო პორტალი „რადიო თავისუფლება“, 5 სექტემბერი 2022, ხელმისაწვდომია: https://www.radiotavisupleba.ge/a/32018877.html, განახლებულია: 12.10.22.
[37] იქვე.
[38] „კალაძე: ვადამდელი არჩევნები აბსურდია, პოლიტიკური კრიზისი აქვს “ნაციონალურ მოძრაობას”,” საინფორმაციო პორტალი „რადიო თავისუფლება“, 5 სექტემბერი 2022, ხელმისაწვდომია: https://www.radiotavisupleba.ge/a/32019057.html, განახლებულია: 12.10.22.
[39] იქვე.
[40] „კობახიძის თქმით, გენ. პროკურორის არჩევის წესს ევროკავშირის რეკომენდაციის შესაბამისად შეცვლიან“, საინფორმაციო პორტალი „Civil.ge“, 1 სექტემბერი 2022, ხელმისაწვდომია: https://civil.ge/ka/archives/506864,

ცვლილებების შესაბამისად, პროკურორის ასარჩევად საჭირო იქნება პარლამენტის წევრთა კვალიფიციური უმრავლესობის თანხმობა, უბრალო უმრავლესობის ნაცვლად.[41]

არჩევნების ელექტრონული ფორმატი

„ქართული ოცნების“ ლიდერის, ირაკლი კობახიძის თქმით, 2024 წლის არჩევნები ყველა ქალაქში ელექტრონულად ჩატარდება.[42] როგორც კობახიძემ აღნიშნა, მმართველი პარტია აპირებს დაარეგისტრიროს კანონპროექტი, რომლითაც ცვლილებები შევა საარჩევნო კოდექსში.[43] შედეგად 2024 წლის საპარლამენტო არჩევნები ქალაქებსა და დიდ დასახლებულ პუნქტებში ელექტრონულად ჩატარდება.[44] ელექტრონული არჩევნების შესახებ მმართველი პარტიის ინიციატივას ოპოზიცია გამოეხმაურა. ოპოზიციური ძალების დამოკიდებულება, ძირითადად, პოზიტიური იყო, თუმცა „ნაციონალური მოძრაობის“ აზრით, მაინც არსებობდა მმართველი პარტიის მიერ კონტროლირებადი ცენტრალური საარჩევნო კომისიისა და სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის მიერ ელექტრონული სისტემების მანიპულირების რისკი.[45]

განახლებულია: 12.10.22; „ქართულმა ოცნებამ გენერალური პროკურორის არჩევის ახალი წესი წარმოადგინა“, საინფორმაციო პორტალი „რადიო თავისუფლება“, 1 სექტემბერი 2022, ხელმისაწვდომია: https://www.radiotavisupleba.ge/a/32014167.html, განახლებულია: 12.10.22.

[41] ნანუკა ყრუაშვილი, საინფორმაციო ბიულეტენი N19, აპრილი 2021, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, გვ. 5, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: https://gyla.ge/, განახლებულია 12.10.22; „ევროპული საბჭოს პრეზიდენტი შარლ მიშელი აქვეყნებს ახალ წინადადებას, რომელიც მან დღეს საქართველოს პოლიტიკურ პარტიებს შესთავაზა“, ევროკავშირის წარმომადგენლობა საქართველოში, ოფიციალური ვებგვერდი, 2021 წლის 18 აპრილი, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3fAh8Jl, განახლებულია: 12.10.2022.

[42] „ირაკლი კობახიძის თქმით, 2024 წლის არჩევნები ყველა ქალაქში ელექტრონულად ჩატარდება“, საინფორმაციო პორტალი „რადიო თავისუფლება“, 13 სექტემბერი 2022, ხელმისაწვდომია: https://www.radiotavisupleba.ge/a/32031137.html, განახლებულია: 12.10.22.

[43] იქვე.

[44] იქვე.

[45] „ელექტრონული არჩევნების შესახებ მმართველი პარტიის ინიციატივას ოპოზიცია გამოეხმაურა”, საინფორმაციო პორტალი „Civil.ge”, 13 სექტემბერი 2022, ხელმისაწვდომია: https://civil.ge/ka/archives/508059, განახლებულია: 12.10.22.